სიტუაციური ანალიზი

დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

პროექტი „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“ მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის მენეჯერი: მარინე მღებრიშვილი

კვლევის ექსპერტი: სოსო მეზვრიშვილი

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის მეთოდოლოგია 3

მონაცემთა ანალიზი 4

კვლევის შეზღუდვები 5

ძირითადი მიგნებები 6

დოკუმენტების ანალიზი 6

ფოკუს ჯგუფის ანალიზი 9

ხაშურის მუნიციპალიტეტი: 10

გორის მუნიციპალიტეტი 12

ახალციხის მუნიციპალიტეტი 15

რესპონდენტების რეკომენდაციები: 21

დანართები 23

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში მომზადდა პროექტის ,,დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“-ის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“ ა(ა)იპ ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია ხელი შეეწყოს ადგილობრივ მუნიციპალურ პოლიტიკას შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნება შშმ პირთა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმების მუნიციპალური სამოქმედო გეგმა.

თვისებრივი კვლევის ანგარიში მიმოიხილავს კვლევის ფარგლებში შერჩეულ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათი მშობლების გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით ინფორმირებულობას, ასევე, მათ პრაქტიკაში არსებულ გამოცდილებას მათივე შეფასებების საფუძველზე. თვისებრივი კვლევა მთლიანად ეფუძნება სიტუაციურ ნალიზს, რაც იძლევა საშუალებას გაანალიზდეს სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული სიტუაცია და გამოწვევები.

კვლევა არის გამოყენებითი ხასიათის და მისი მონაცემების გამოყენება შეუძლიათ დარგის ექსპერტებს, დაინტერესებულ ინდივიდებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევა - მომზადდა სამაგიდო კვლევა, გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებებიდან, რის შემდგომაც ჩატარდა ფოკუსური ჯგუფები მუნიციპალიტეტებში, ჯამში ჩატარდა 7 ჯგუფი თემატურად რელევანტური, ნახევრად სტრუქტურირებული კვლევის ინსტრუმენტის საშუალებით. პროცესს მოდერაციას უწევდნენ გამოცდილი მოდერატორები. ფოკუს ჯგუფების ნაწილი ჩატარდა Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ხოლო ნაწილი პირისპირი მეთოდით. შეხვედრაზე მიმდინარეობდა აუდიო და ვიდეო ჩანაწერის წარმოება, რომელიც გამოყენებულ იქნა ტრანსკრიპტების შესადგენად და განადგურდა ანალიზის დასრულებისთანავე.

ფოკუს ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზდა, გამოიყო შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი თემები, გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და მომზადდა მიღებული შედეგების შესახებ ანალიზი.

კვლევა დაფუძნებულია ფენომენოლოგიურ კვლევის დიზაინზე, რაც გულისხმობს გამოცდილებების გაზიარებას შშმ პირების, მათი მშიბლების და ადგილობრივი სიტუაციის შესწავლას, თუ რა გამოწვწვები, გამოცდილებები და პრაქტიკა არსებობს შშმ პირთა დასაქმების მხრივ.

მონაცემთა ანალიზი

სამაგიდო კვლევის დეტალური ანალიზი ვერ განხორციელდა, რადგან გამოთხოვილი ინფორმაციის 70% არ მიგვიღია შესაბამისი უწყებებიდან, ან არ აქვს სახელმწიფო უწყებებს პასუხი. შესაბამისად, სამაგიდო კვლევის ფარგლებში მომზადდა მხოლოდ მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, რაც შემდგომში საჭიროებს ერთის მხრივ

განახლებას, ხოლო მეორეს მხრივ რეკომენდაცია იქნება, რომ სახელმწიფო უწყებებმა მოამზადონ შესაბამისი მონაცემთა ბაზები, რათა შემდგომში სრულყოფილად მოხდეს მონაცემების ანალიზი და არსებული მდგომარეობის უკეთ დანახვა.

რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებს, შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის გასაანალიზებლად მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტები, რომლებიც დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული მოიაზრებს საწყის ეტაპზე მონაცემთა კოდირებას, კატეგორიზებას და ნარატიულ ანალიზს.

კვლევის შეზღუდვები

გამომდინარე იქიდან, რომ ШШმ პირთა დასაქმების საკითხები ძალიან ფართოა და ყოვლისმომცველი, ეხება ყველა მუნიციპალიტეტს, ამიტომ შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული მიდგომები სხვადასხვა სფეროში, დამკვეთთან შეთანხმებით შეირჩა სამი მუნიციპალიტეტი, როგორც მეტად აქტუალურები: გორის მუნიციპალიტეტი, ხაშურის მუნიციპალიტეტი და ახალციხის მუნიციპალიტეტი.

ჯგუფების უმეტესობა ტარდებოდა სამუშაო საათებში. რესპონდენტებს არ ჰქონდათ შეუზღუდავი თავისუფალი დრო, რამდენიმე შემთხვევაში მოხდა ჯგუფის დროებით დატოვება.

რესპონდენტების უმრავლესობა საკუთარი სამუშაო სივრციდან ჩაერთო ჯგუფზე, რომელსაც იყოფდა კოლეგებთან. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში უფრო ზოგადი პასუხებით შემოიფარგლებოდნენ და ძალიან ფრთხილად საუბრობდნენ ისეთ სენსიტიურ თემაზე, როგორიც ჩვენი კვლევის თემატიკაა. ასევე, ფიზიკური შეხვედრის ადგილად უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრა მუნიციპალიტეტის შენობა, რაც ასევე ქმნიდა გარკვეულ დისკომფორტს მონაწილეთათვის.

ძირითადი მიგნებები

მუნიციპალურ დონეზეც ყველა მონაწილის საერთო შეფასებით შშმ პირთა დასაქმება დიდი გამოწვევა და პრობლემაა, როგორც საქართველოსთვის, ასევე განვითარებადი ქვეყნებისთვის. რესპონდენტთა სრულ უმრავლესობას სმენია გაეროს კონვენციის შესახებ, თუმცა ცოტამ თუ იცის რას მოიაზრებს და მიემართება. ნაკლებად იცნობენ დასაქმებულ შშმ პირებს და თუ იცნობენ, ისიც არა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობებით. ამასთან, მნიშვნელოვანი მსგავსებები გამოიკვეთა:

- უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას ეტლით მოსარგებლე შშმ პირებზე;
- ნაკლებად არიან დარწმუნებულნი ადაპტირებულ ურბანულ გარემოს არსებობასთან დაკავშირებით;
- ნაკლებად არიან ინფორმირებულნი გაეროს კონვენციის შესახებ;
- ნაკლებად სმენიათ და გაუვლიათ ტრენინგი, ან პროფესიული გადამზადების პროგრამა/კურსი, რომელიც კონკრეტულად შშმ პირთა დასაქმების საკითხებს ეხებოდა;

საერთო შეფასებით, ყოველწლიურად მრავალ პროფესიული განვითარების პროგრამებში უწევთ ჩართვა და ტრენინგების გავლა, მათ შორის შშმ პირებთან დაკავშრებით, თუმცა ნაკლებად ახსენდებათ უშუალოდ შშმ პირთა დასაქმების საკითხებისადმი მიძღვნილი აქტივობა.

დოკუმენტების ანალიზი

სამაგიდო კვლევა გულისხმობს სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავების გზით მონაცემთა გაანალიზებას და არსებული სიტუაციის შეფასებას ქვეყანაში/მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა დასაქმების კუთხით. ვინაიდან სფეროში საკმაოდ დაბალია რელევანტური კვლევებია, ამ მიმართულებით ბოლო 4-5 წელიწადში არ არის განხორციელებული თემასთან დაკავშირებული კვლევები და რაც გვაქვს, ისინი ძირითადად შშმ პირთა მიმღებლობას, მათთან ერთად მუშაობას ან სოციალურ საკითხებს შეეხება. ასევე, ჩვენმა ორგანიზაციამ სახელმწიფო უწყებებიდან გამოითხოვა სხვადასხვა სტატისტიკა, მონაცემები და პროგრამები შშმ პირებთან მიმართებაში, ასევე სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებიდან, რაზეც მივიღეთ მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია და ფაქტობრივად ძალიან ზოგადი და მწირია მიღებული ინფორმაცია, რაც სიღრმისეული გაანალიზების საშუალებას არ იძლევა ამ ეტაპზე.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ შშმ პირთა მრჩეველთა საბჭოები მუნიციპალიტეტებში არის შექმნილი[1], სადაც შედიან შშმ პირები, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამუშაო ოქმები სამივე მუნიციპალიტეტმა ვერ მოგვაწოდა, თუმცა დეტალურად მოგვწერეს ინფორმაცია, რაც ოქმებში შედიოდა. ინფორმაცია მოიცავდა ბოლო რამდენიმე წლის სხდომებს. ამომწურავად ინფორმაცია მივიღეთ ახალციხის მუნიციპალიტეტიდან, სადაც ფაქტიურად ყველა სხდომა 2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით შეეხებოდა სოციალური პროექტების გაცნობას და მერიის პროგრამების გაცნობას, რომელიც შშმ პირებს ეხებოდა, ხოლო ორი იყო ინიციატივა, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭომ და წლის მანძილზე მერიამ უზრუნველყო შესაბამისი ფინანსების გამოყოფა ინიციატივის მხარდასაჭერად. ანალოგიური სიტუაცია გვხვდება გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებშიც, სადაც ძირითადად სოციალურ პროექტებს შეეხებოდა საბჭოების შეხვედრა და მოიცავდა ინფორმაციის გაცემის

[1] იხილეთ დანართი #1

ფუნქციას. სხდომებზე ასევე ხდებოდა ინფრასტრუქტურული მოწყობითი სამუშაოების რეგულაციების გაცნობა და რეკომენდაციების მიღება სხდომის წევრებისაგან.

სამუშაო სტატისტიკები, ან შრომისუნარიანი შშმ პირების სტატისტიკა ჯერ არ აქვთ მუნიციპალიტეტებს, თუმცა ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებულია და 2023 წლის ბოლოსთვის ყველა მუნიციპალიტეტს ექნება დასრულებული ბაზები. აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფილად არ გააჩნია არც სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს და არც ,,სსიპ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს". რაც შეეხება სხვა სახის სტატისტიკურ მონაცემებს, დამატებით გამოვითხოვეთ სახელმწიფო პროგრამიდან ,,აწარმოე საქართველოში"-ის მონაცემები[2], თუ რამდენი შშმ პირი მონაწილეობდა ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან და რამდენმა მოიპოვა დაფინანსება სამეწარმეო საქმიანობისთვის 2022 წელს, რადგან გასულ წელს, ცალკე პრიორიტეტი იყო შშმ პირის სტატუსი და ენიჭებოდა დამატებითი ქულა. აწარმოე საქართველომ მოგვაწოდა მხოლოდ ზოგადი სტატისტიკა საქართველოს მასშტაბით, სადაც აღნიშნულია, რომ სულ 375 სამეწარმეო იდეა შევიდა შშმ პირებისგან 2022 წელს, საიდანაც დაფინანსება მოიპოვა 24-მა მათგანმა. გასული წლების სტატისტიკა არ მოიპოვება, რადგან პროგრამა არ განასხვავებდა რაიმე სტატუსით ბენეფიციარებს. სამწუხაროდ სააგენტოს არ აქვს გასული წლების სტატისტიკა და ბიზნესების მდგრადობის მონიტორინგის ანგარიში. ერთ-ერთი უწყება, რომელმაც მოგვაწოდა ინფორმაცია შშმ პირთა მონაცემების შესახებ, არის სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელმაც 2022 და 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემები მოგავწოდა, თუ რამდენი შშმ პირია რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლად მათ ბაზაში და აქედან რამდენია დასაქმებული სააგენტოს დახმარებით. საერთო ჯამში სააგენტოს მონაცემთა ბაზაში 12 505 შშმ და სსმ პირია რეგისტირებული, როგორც

[2] იხ. დანართი #2

სამუშაოს მაძიებელი, ხოლო აქედან 2022 წლის მონაცემებით დასაქმებულია 386 შშმ პირი და საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულია 2 718 პირი. 2023 წლის 1-ლი კვარტლის მონაცემებით კი დასაქმებულია 120 შშმ პირი.

სამაგიდო კვლევამ გვიჩვენა ის გამოწვევები, რაც დგას სახელმწიფო უწყებების წინაშე, შშმ პირების შესახებ - ინფორმაციის ნაკლებობა, მათი უფლებრივი და დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევები[3]. ყოველივე ზემოთ ხსენებული მხოლოდ მცირე ნაწილია იმ რიგი პრობლემური საკითხებისა, რასაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, დაწყებული განათლების და თავისუფლად გადაადგილების უფლებებით, დასრულებული დასაქმების და დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობით. აღსანიშნავია მუნიციპალური შშმ პირთა საბჭოც, რომელიც არ არის ძლიერი და ქმედუნარიანი და ძირითადად უმეტეს შემთხვევაში ფორმალურად შექმნილი საბჭოა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და ნაკლებად ხდება ინიციატივების წამოყენება და აქტიური მუშაობა, რაზეც საჭიროა მეტად გააქტიურება, შეხვედრების რაოდენობის ზრდა და სხვადასხვა ინიციატივების შეთავაზება მუნიციპალიტეტისთვის, რათა გაუმჯობესდეს შშმ პირთა უფლებრივი და დასაქმების მდგომარეობა.

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა 3 მუნიციპალიტეტში - გორი, ხაშური და ახალციხე. თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2-2 ფოკუს შეხვედრა ჰიბრიდულ ფორმატში - დისტანციურად ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის და ფიზიკურად, პირისპირი შეხვედრის გამოყენებით. ამასთანავე, ჩატარდა 1 ჯგუფი დამსაქმებლებთან ყველა მუნიციპალიტეტიდან. კვლევაში სულ მიიღო მონაწილეობა 38-მა რესპონდენტმა.

[3] იხ. დანართი #3

რესპონდენტები იყვნენ, როგორც შრომის უნარიანი შშმ პირები, ასევე მათი მშობლები, საჯარო უწყების წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორის და შშმ პირთა საბჭოს წევრები და დამსაქმებლები. ერთი ფოკუს ჯგუფი ეთმობოდა მთლიანად საჯარო უწყების, შშმ პირთა საბჭოს წევრების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრას, ხოლო ცალკე ფოკუს ჯგუფი იყო შშმ პირებთან და მათ მშობლებთან შეხვედრა, რაც გამორიცხავდა გავლენას რესპონდენტთა პასუხებში. კვლევა განხორციელდა 20 ივლისიდან 20 სექტემბრის პერიოდში.

ხაშურის მუნიციპალიტეტი:

ხაშურის მუნიციპალიტეტში რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს გაეროს კონვენციაზე. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ნაწილმა მათგანმა იცოდა კონვენციის არსებობის შესახებ. მათ იციან, რომ კონვენცია მუშაობს შშმ პირების უფლებების დაცვაზე და აღნიშნული დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა, ისიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა იცოდა, რომ გაეროს კონვენციაში ასახულია შშმ პირების შესაძლებლობები, თუმცა კონკრეტული მუხლები და შინაარსი არ ახსოვთ.

შშმ პირების მშობლებს სურთ იყოს ადაპტირებული ფიზიკური გარემო, რადგან იყვნენ მშვიდად და იცოდნენ, რომ შვილებს დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლიათ. თუმცა, არათუ ფიზიკური, არამედ ზოგადად არანაირი გარემო არაა მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ახლად დაპროექტებული შენობებში დევს მოთხოვნა, რომ იყოს ადაპტირებული შენობა-ნაგებობა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს ფასადურად ხდება, მაგალითად პანდუსები, თუმცა არ არის სწორად დაპროექტებული და დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლებელია. მომართვა ჭირდებათ იმისთვის, რომ თუნდაც შუქნიშნები იყოს მორგებული შშმ პირებზე, რადგან **"რამდენიც არ უნდა ეცადო, ვერ აღიქვამ სწორად, სანამ მისი [შშმპ-ს თ.ქ.] თვალით არ შეხედავ".** სასწავლო გარემოში აღინიშნება სპეც. პედაგოგების ნაკლებობა,

დღის ცენტრის ფუნქციონირების შესახებ, შშმ რესპონდენტებს და მათი ოჯახის წევრებს არ სმენიათ, მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ასეთი ცენტრი წარმატებით ფუნქციონირებს და იგი სრულად ადაპტირებულია. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ასეთივედ განიხილავენ კოლეჯსაც, რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, თუმცა სექტემბრიდან ამოქმედდება. თუმცა, ყველა რესპონდენტი თითქმის ერთხმად აღიარებს, რომ **„არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები, არსებობს შეზღუდული გარემო".**

დასაქმების კუთხით შშმ რესპონდენტები დიდ პრობლემებს აწყდებიან. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მუშაობდა, თუმცა მას შემდეგ რაც შესაძლებლობები შეეზღუდა, ამის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან. დანარჩენები კი არ არიან დასაქმებულნი, რადგან მათზე მორგებული გარემო არ არსებობს. მიუხედავად დიდი მოთხოვნისა და შშმ პირთა მზაობისა, არ აქვთ დასაქმების რაიმე ტიპის პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობდა შშმ პირებს დასაქმებულიყვნენ. თუმცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ფუნქციონირებს შშმ პირთა გაძლიერების პროგრამა, რაც გულისხმობს შშმ პირთა დახმარებას მცირე ბიზნესის (თვითდასაქმების) წამოწყებაში (როგორც პროექტის დაწერის, ისე დაფინანსების წყაროს მოძიებაში). მიუხედავად დასაქმების პროგრამის არ არსებობისა, შშმ პირები აქტიურად ცდილობენ დასაქმებას და ამისათვის იყენებენ სხვადასხვა პლატფორმებს: www.hr.ge; www.hr.gov.ge; სოციალურ ქსელებს და პირად ნაცნობობას. **„პირადად შევსწრებივარ, რომ შშმ პირი მოსულა საკრებულოში, უთქვამს თავისი უნარების შესახებ და უთხოვია სამსახური. შემდეგ შუამდგომლობა გაუწევია საკრებულოს თავმჯდომარეს კონკრეტულ ადამიანებთან და დაუკავშირებია ეს ორი პიროვნება."** ბევრი მცდელობის მიუხედავად, შშმ პირები და მათი ახლობლები აღნიშნავენ, რომ მათ გარემოცვაში არ არის დასაქმებული შშმ პირი, ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ დასაქმებულნი არიან ისეთი შშმ პირები, რომელთაც არ აქვთ მკაცრად გამოხატული შეზღუდვები (მაგალითად: ინსულტი ან ინფარქტი

აქვს გადატანილი). ასეთი ადამიანების დასაქმების ადგილად განიხილება ქსელური მარკეტებში კონსულტანტის დამხმარის პოზიცია.

შშმ პირთა უფლებების დაცვაზე მსგავსი წარმოდგენა აქვთ თვითონ შშმ პირებს, მათ ახლობლებს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. მათი მოსაზრებით, კანონმდებლობით დაცულია აღნიშნულ პირთა უფლებები, ხოლო რეალურ ცხოვრებაში დარღვეულია როგორც შრომის, ისე სოციალური უფლებები. **„ზუსტად ისინი არღვევენ ჩემს უფლებებს, ვინც უნდა იცავდეს“.** თუმცა პოზიტიურ ჭრილში განიხილება ის ფაქტორი, რომ მოქალაქეთა ცნობიერება მზაობაშია და აქტიურად მიდის მუშაობა შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად ესწრებიან შშმ პირთა შესახებ გამართულ ტრენინგებს და მიღებულ ინფორმაციას ამომწურავად თვლიან. თუმცა, ხედავენ დამატებითი ტრენინგების საჭიროებას დასაქმებასთან მიმართებაში, რათა მოხდეს შშმ პირთა სოციალიზაცია და ადაპტირება გარემოსთან. სასურველად მიჩნევენ ფსიქოლოგის ჩართულობასაც. ტრენინგების საჭიროებას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ასაბუთებენ შემდეგნაირად: **"ზოგჯერ თვითონაც არ იციან მათი უნარები და საჭიროებები".**

გორის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, გორის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა რესპონდენტს სმენია გაეროს კონვენციის შესახებ და უფრო მეტიც, სიღრმისეულად იციან კონვენციაში შემავალი საკითხები და მუხლების მიხედვით აქვთ განხილული. ზოგიერთი მათგანისთვის კი, აღნიშნული სამაგიდო წიგნადაც კია ქცეული. შესაბამისად იციან რომ მასში ასახულია შშმ პირთა შესაძლებლობები და უფლებები. მაგალითად მოყავთ: დასაქმების უფლება, განათლების უფლება, პირადი ცხოვრების უფლება. ასევე აღნიშნავენ რომ გაეროს შშმ პირთა კონვენცია სრულად

გამართულია და მის ყველა პუნქტს ეთანხმებიან, თუმცა გული წყდებათ, რომ პრაქტიკაში არ ხდება მასში მოყვანილი უფლებების დაცვა და შესაძლებლობების წარმოჩენა.

ინფრასტრუქტურის ადაპტირებულობას გორის მუნიციპალიტეტში საშუალო ხარისხით აფასებენ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები. ისინი თანხმდებიან, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უმეტეს შემთხვევაში არ არის ადაპტირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი ძირითადად კეთდება ეტლით მოსარგებლე პირებზე და მათი ადაპტირებულობის საკითხი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სრულად დამოკიდებულია ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე და შშმ მოსწავლეთა ბრძოლის უნარიანობაზე. ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ეტლით მოსარგებლეთა თხოვნა და საკლასო ოთახები გადმოიტანა პირველ სართულზე, ხოლო შშმ მოსწავლეთა და მათი მშობლების ბრძოლის შედეგად მოეწყო ადაპტირებული საპირფარეშოები და პანდუსები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არ გაითვალისწინეს თხოვნა და ბევრი ბრძოლის შემდეგ ასეთმა პირებმა სკოლა ონლაინ სწავლებით დაასრულეს. დამოუკიდებლად გადაადგილება და რაიმე ტიპის მომსახურების მიღება უჭირთ ნებისმიერი ტიპის შშმ პირს, იქნება ეს ეტლით მოსარგებლე, უსინათლო თუ სმენადაქვეითებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადაპტირების ელემენტები (პანდუსები, შუქნიშნები) ფასადურია და არ ფუნქციონირებს საჭიროებისამებრ, ან არ არის გამართული სწორად. ინფრასტრუქტურული გარემოს გარდა, სხვა ტიპის გარემოც არაა მათზე მორგებული, რადგან არანაირი კომუნიკაციის საშუალება სმენადაქვეითებულთან არ გვაქვს. ასევე მაღაზიებში, აფთიაქებში და სხვა საჯარო ობიექტებში არ არის გარემო მოქნილი ეტლით მოსარგებლის ან უსინათლო პირის გადასაადგილებლად. საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შშმ პირებზე მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია „გორის სასწავლო უნივერსიტეტი“ და კოლეჯი „განთიადი“. მათი პირველი სართულები სრულადაა მორგებული ეტლით მოსარგებლის საჭიროებებზე. ადაპტირებულ სამუშაო გარემოზე შშმ პირებს

ერთადერთი გორის კეთილდღეობის ცენტრი ახსენდებათ, ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ასეთ დაწესებულებას ვერ იხსენებენ.

გორის მუნიციპალიტეტში არსებობს დასაქმების პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ შშმ პირთა დასაქმებას, თუმცა ნაკლებადაა მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე და ისეთ სამსახურებს სთავაზობენ, რომელთა ფუნქცია მოვალეობებიც აღემატება შშმ პირების შესაძლებლობებს.

„გადავამზადეთ ჩვენივე ბაზაზე, ტიხრული მინანქრის, სამკერვალოს მიმართულებით. ამას აქვს ორი მხარე, ერთი, რომ მოდის ბენეფიციარი, სწავლობს სპეციალობას და მეორე ის რომ, ბარემ დანადგარებით მოვამარაგოთ და იმუშაონ. მაგრამ რაღაც აკლია. რადგან ვინც ეს ყოველივე აითვისა, დანადგარებიც წაიღო, მაგრამ დადო, აღარ აამუშავა. რაღაც კიდევ უნდა არსებობდეს, რომ აიძულო გადადგას საქმიანი ნაბიჯები.... მაგალითად, შევუქმნათ ბაზარი“.

ასევე გორში გაიმართა დასაქმების ფორუმი, სადაც შშმ პირებიც იყვნენ მიწვეულნი, თუმცა როგორც თვითონ ეს პირები აღნიშნავენ, ესეც ფასადური პოლიტიკის ნაწილი იყო, რადგან არც ერთ ვაკანტური პოზიცია არ შეესაბამებოდა მათ უნარებს.

„ერთხელ გავიგე, რომ გორში იყო დასაქმების ფორუმი, საგულდაგულოდ შემადგენინეს სივი და ძალიან დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით მივდიოდი, მაგრამ რომ დავხედე იმ პროფესიების ჩამონათვალს, რაზეც უნდა მემუშავა, არ იყო მორგებული სსმ პირებზე. არ არის მთავარი, რომ შენ გამართე დასაქმების ფორუმი, რომელზეც შშმ პირები მოვიდნენ, თუ არ მოარგე მათ საჭიროებებს“.

ასევე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დასაქმების პროგრამების სააგენტო ეხმარება აღნიშნულ ბენეფიციარებს და რამდენიმე ადამიანი დაასაქმეს დასუფთავების სააგენტოში. ასევე სოციალური სამსახურები ეხმარებოდნენ ბენეფიციარებს, უფინანსებდნენ პროფესიულ სწავლებას და ამავდროულად

უხდიდნენ სტიპენდიას, თუმცა როგორ გამოიყენეს ამ ადამიანებმა მათი დახმარებით მიღებული ცოდნა, აღარავინ დაინტერესებულა.

შშმ პირები უმეტესად საკუთარი ძალებით ცდილობენ დასაქმებას. ამისათვის იყენებენ ონლაინ პლატფორმებს: www.jobs.ge; www.hr.ge; www.hr.gov.ge; და სოციალური ქსელები. რამდენიმე მათგანი მუშაობს კიდეც, თუმცა გაცილებით მეტი დაუსაქმებელია. მიუმართავთ სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამისთვისაც. დასაქმებულ შშმ პირებიდან უმეტესობა თვითდასაქმებულია, ხოლო დაუსაქმებლობის რამდენიმე მიზეზი სახელდება:

1. არ არის მათზე მორგებული ფიზიკური გარემო;
2.წარსულში ქონდათ იმედგაცრუება, რადგან მიიღეს უარი შეზღუდული შესაძლებლობების გამო;
3. არ იციან სად ეძებონ შესაფერისი სამსახური.

ამის გამო აღნიშნავენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა აღარ ირღვეოდეს მათი უფლებები. ამ ეტაპზე თვლიან რომ დარღვეულია მათი შრომის, გადაადგილების, განათლების, თანასწორობის და პირადი ცხოვრების უფლება.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხშირად ესწრებიან შშმ პირთა შესახებ გამართულ ტრენინგებს, მაგრამ არ ახსოვთ ისეთი ტრენინგი, რომელსაც სრულყოფილი ინფორმაცია მიუწოდებია მათთვის და მათ არ დარჩენიათ კითხვის ნიშნები. ტრენინგების ნაკლად ასახელებენ მათ ერთჯერად ხასიათს. რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ უნდა ტარდებოდეს უნარების ასამაღლებელი ტრენინგები შშმ პირთათვის და ამას ქონდეს პერმანენტული ხასიათი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს სმენიათ გაეროს კონვენციის შესახებ, თუმცა არ იცნობენ სიღრმისეულად მის შინაარს.

„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი ხნის წინ გაიწერა ეს კონვენცია, 2007 წელს იყო ეს ყველაფერი, ჩემზე უკეთ იციან ამ ადამიანებმა [იგულისხმება შშმ პირები, თ.ქ.], მე მაინც გარედან ვუყურებ ამ ყველაფერს, რადგან არ მაქვს საკუთარ თავზე გამოცდილი, რამდენ სირთულეს აწყდებიან.“

ასევე, აღნიშნავენ, რომ მათი ცოდნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არის არასამთავრობო ორგანიზაციების დამსახურება, რადგან მათ ჩაუტარეს გარკვეული ტიპის ტრენინგები, რომლებიც დაკავშირებული იყო შშმ პირთა უფლებებთან. ამჯერად ელოდებიან, რომ გადმოუგზავნონ დოკუმენტი, რომელსაც გაეცნობიან. შშმ პირთა უმეტესობას სმენია სიტყვათა შეთანხმება „გაეროს შშმ პირთა კონვენცია“, თუმცა არ დაინტერესებულან მისით, ამის მიზეზად ასახელებენ ინფორმაციის ნაკლებობას. აცხადებენ, რომ არ ყოფილა მიწოდებული ინფორმაცია ისე, რომ დაინტერესებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობენ გაეროს კონვენციას, ფიქრობენ რომ აღნიშნული დოკუმენტი მოიაზრებს შშმ პირთა დაცვას, მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში, მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ახალციხეში მეტ-ნაკლებადაა ადაპტირებული გარემო. წამოვიდა ტენდენცია, რომ ყველა ახალი შენობის დაპროექტებისას ან/და რეაბილიტაციისას მაქსიმალურად ითვალისწინებენ შშმ პირთა საჭიროებებს, თუმცა სრულყოფილად, ნორმის მიხედვით ხორციელდება თუ არა ეს ყოველივე, ამას მუნიციპალიტეტი არ აკონტროლებს, სრულად დამოკიდებულია დამპროექტებელზე. ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაპროექტებისას ხდება იმ შშმ მოსწავლეების გათვალისწინება, რომლებიც იმ მომენტისთვის სწავლობენ სკოლაში, ხოლო თუ რეაბილიტაციის მომენტში სხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე არ ყავს სკოლას, არც პროექტი ითვალისწინებს. მოწყვლად ჯგუფებზე

არ არის გათვლილი მომსახურებები, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ რაიმე ტიპის მომსახურება. რაც შეეხება პროფესიულ და უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შშმ პირებზე მორგებულია კოლეჯი „ოპიზარი“ და სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამავდროულად, შშმ პირები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს რომელიმე შენობა, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული. უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ პირველი სართულია მორგებული სპეციალური საჭიროებების მქონე პირებზე.

შშმ პირები აქცენტს აკეთებენ დასაქმებაზე, რადგან დასაქმებას განიხილავენ დამოუკიდებელი ცხოვრების ბაზისს, თუმცა გაცნობიერებული აქვთ, რომ დასაქმება ჩვენს ქვეყანაში იმდენად პრობლემური საკითხია, რომ ტიპიური განვითარების ადამიანებსაც კი უჭირთ, ამიტომ ნაკლებად მძაფრად აღიქვამენ თავიანთ დაუსაქმებლობას.

„სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით უფრო ვხედავ სირთულეს, რადგან დამსაქმებელსაც უნდა ქონდეს სურვილი, რათა აქტიურად ჩართოს საქმეში შშმ პირები, ან მეტი სარგებელი ქონდეს მათ, რითაც შეძლებს გარკვეული პირობები შეუქმნას, ადაპტირებული გარემო ქონდეს ან პერსონალური ასისტენტი აუყვანონ. 2025 წლიდან უნდა შესთავაზოს ეს, რადგან კანონით სავალდებულოა პერსონალური ასისტენტების ყოლა, თუმცა ჯერ ამაზე არც კი ფიქრობენ.“

აქედან გამომდინარე, ყველაზე დიდი პრობლემა რასაც ისინი ხედავენ არის ის, რომ მათ არ ყავთ დამხმარეები და ამ ფუნქციას მათი ოჯახის წევრები ასრულებენ, შესაბამისად ამის გამო ოჯახს აქვს ეკონომიკური კრიზისი.

მუნიციპალიტეტს არ აქვს საკუთარი დასაქმების პროგრამა, თუმცა ჩართულია სახელმწიფო დასაქმების პროგრამაში. აღნიშნული პროგრამა ცალკე შშმ პირთა დასაქმებას არ მოიაზრებს. სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამაში ხვდებიან არა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ამ შემთხვევაში შშმ პირები უნდა მოერგონ ვაკანტურ პოზიციებს და არა ვაკანტური

პოზიციები მოერგოს შშმ პირებს. ისინი ასაქმებენ ბენეფიციარებს მეეზოვეებად, დარაჯებად და ა.შ. და უმეტესად არჩევენ ისეთ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ფუნქციონირება არა ადაპტირებულ გარემოში.

შშმ პირები მუდმივად ცდილობენ დასაქმებას და სამსახურის საძებნელად იყენებენ ისეთ პლატფორმებს, როგორიცაა www.hr.ge; www.jos.ge; მიუმართავთ კერძო და საჯარო დაწესებულებებისთვის და გულდაწყვეტილები წამოსულან, რადგან სამუშაო გარემო უმეტესად არაა ადაპტირებული, განსაკუთრებით ეტლით მოსარგებლეთათვის.

როგორც თვითონ შშმ პირები აცხადებენ, მუდმივად ირღვევა მათი უფლებები: გადაადგილების, შრომის, განათლების და ა.შ. და ამის გამო ხშირად აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს და ამათგან მწვავედ აღიქვამენ დამოკიდებულებით ბარიერებს, ბულინგს და დამცირებას, რომელსაც თითქმის ყველა ნაბიჯზე აწყდებიან.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა, აღნიშნა, რომ მან გაიარა გარკვეული ტრენინგები, რომელიც ეხებოდა შშმ პირთა უფლებებს და როგორც აღმოჩნდა ამ ტრენინგის მოდულის ფარგლებში ზოგადად მიმოიხილეს შშმ პირთა დასაქმების საკითხიც, თუმცა არ მომხდარა ამ კონკრეტული მიმართულების სიღრმისეული შესწავლა, როგორც თავად განმარტავს:

"მაან ზოგადი საუბარი იყო ამ თემასთან დაკავშირებით ამ ტრენინგზე"

ხოლო სხვა შშმ პირებს არც კი სმენიათ ასეთი ტრენინგების არსებობის შესახებ. ამავდროულად, ერთხმად აღნიშნავენ, რომ სიამოვნებით დაესწრებოდნენ მსგავსი ტიპის ტრენინგებს და კარგი იქნებოდა თუ ამას არ ექნებოდა ერთჯერადი ხასიათი.

დამსაქმებლები

ჩატარდა ერთი ფუკუს ჯგუფი დამსაქმებლებთან, რომლებიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტს წარმოადგენდნენ. მათ მცირე ნაწილს სმენია გაეროს კონვენციის შესახებ, თუმცა არ არიან ინფორმირებულნი სიღრმისეულად რას მოიაზრებს და რომელი პუნქტებისგან შედგება აღნიშნული კონვენცია, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა მათგანის კომპანიაში დასაქმებულნი არიან/იყვნენ შშმ პირები.

დამსაქმებლებიც, ისე როგორც სხვა ჯგუფების რესპონდენტები შშმ პირებზე საუბრისას ძირითად აქცენტს აკეთებენ ეტლით მოსარგებლე პირებზე. რესპონდენტების მოსაზრებით, არ არის ადაპტირებული ინფრასტრუქტურული გარემო არც მათ მუნიციპალიტეტებში და არც მათ სამუშაო გარემოში, რაც შშმ პირთა დასაქმების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სახელდება. თუნდაც დამსაქმებლებმა დაასაქმონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მათ მაინც შეექმნებათ გადაადგილების პრობლემა, რადგან საქალაქო ინფრასტრუქტურა არ არის მათზე მორგებული და სახლიდან სამსახურამდე მისვლაც პრობლემატური იქნება მათთვის. **„ადაპტირებული სამუშაო და ინფრასტრუქტურული გარემო სამწუხაროდ არ გვაქვს“.** ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხდება გარკვეული თანხების გამოყოფა შშმ პირების სწავლისთვის, რაც მოიაზრებს ახალგახსნილ ადაპტირებულ კოლეჯში მათი სწავლის ხელშეწყობას, როგორც ინფრასტრუქტურის გამართვის, ისე გადაადგილების და საჭირო ინვენტარის შეძენის მხრივ.

არსებობს შშმ პირთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამები, თუმცა კერძო სექტორს რომ რაიმე ტიპის მსგავსი ინიციატივა გამოეჩინა, არ ახსენდებათ, უფრო მეტიც, კერძო სექტორის ნაწილს, სახელმწიფო პროგრამის შესახებ არც სმენია.

ასევე, დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ვერ ხედავენ ადაპტირებული სამუშაო გარემოს ქონის აუცილებლობას, რადგან არ იციან, კონკრეტულად რომელი შეზღუდვის მქონე თანამშრომელი ეყოლებათ, ამიტომ გამოსავალს ხედავენ ასეთი თანამშრომლის შეძენის შემდგომ, მასზე მორგებული გარემოს შექმნაში. ის რესპონდენტები, ვისაც ამ

ეტაპზე ყავთ შშმ თანამშრომლები, აღნიშნავენ, რომ ასეთი თანამშრომლების უდიდესი ნაწილი დისტანციურად მუშაობს და ამ ფაქტს განიხილავენ მათ ხელშემწყობ ფაქტორად.

„შშმ პირთა დასაქმების საკითხი, სისტემის დონეზე გასამართი პრობლემაა, თორემ რომელიმე კერძო, იურიდიულ პირს თუ თვითონ პიროვნული ღირსებიდან და თვისებებიდან გამომდინარე თუ დასაქმების [შშმ პირის, თ.ქ.] სურვილი უჩნდება, ეს არაფერს ნიშნავს“.

რესპონდენტების სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ გარშემო ნაკლებად არიან დასაქმების მსურველი შშმ პირები. მათთან მხოლოდ შემწეობის და დახმარების სათხოვნელად მიდიან და არა დასაქმებისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის თქმით, ხშირად ხდება შეხვედრები შშმ პირთა უფლებების დაცვის და დასაქმების თაობაზე და ამ ეტაპზეც იგეგმება რამდენიმე ადამიანის დასაქმება როგორც დისტანციურად, ისე ახალ აშენებულ სავაჭრო ცენტრშიც.

რესპონდენტების მოსაზრებით, თავად ნაკლებად საჭიროებენ ცნობიერების ამაღლებას ამ კუთხით, თუმცა თვლიან, რომ თვითონ შშმ პირებმა არ იციან მათი უფლებები და ამიტომ ტრენინგები მათთვისაა საჭირო, რადგან ცნობიერების ამაღლების შემდგომ მათ უფრო მეტი მოთხოვნილებაც გაუჩნდებათ და მოთხოვნაც.

ცვლილებები, რომლებიც საჯარო მოხელეთა ინფორმირებულობის ამაღლებას შეუწყობს ხელს შშმ პირთა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით

კვლევამ აჩვენა, რომ როგორც საჯარო სამსახურში დასაქმებული, ისე შშმ პირები მიიჩნევენ, რომ მეტი ქმედებაა საჭირო საჯარო მოხელეთა ინფორმირებულობის ხარისხის გასაზრდელად, შესაბამისად ამ მიმართულების მუშაობისთვის მეტად მრავალფეროვანი მეთოდები წარმოიდგინეს, თუმცა ყველაზე მეტი პოპულარობით

სარგებლობს ტრენინგები, სხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და გამოცდილებითი სწავლა-სწავლება (როლური თამაშებით).

- მნიშნველოვანია, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულ ადამიანებს ქონდეთ წვდომა შშმ პირთა დასაქმების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგების ქონდეს პერმანენტული, მრავალჯერადი ხასიათი და ამ ტრენინგებში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართულნი ფსიქოლოგები.
- სხვა ქვეყნის მაგალითების განხილვა შესაძლოა ხორციელდებოდეს უცხოელი კოლეგების მოწვევით და მათი გამოცდილების გაზიარებით ან/და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით.
- ინფორმაციის გაზიარება დოკუმენტების სახით. კონკრეტულად გაეროს კონვენციის გაცნობა, რის დახმარებითაც მუნიციპალიტეტს წარმომადგენლები მიიღებენ საბაზისო ცოდნას, რაც გამოადგებათ შემდგომი ნაბიჯების დანერგვაში.
- როლური თამაშების თამაში, მაგალითად ეტლით გადაადგილება, თვალახვეული სიარული და ა.შ. რაც უბიძგებს მათ, უკეთ ჩასწვდნენ შშმ პირების საჭიროებებს.

საბოლოო ჯამში, რესპონდენტთა შეფასებით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხელეებს ქონდეთ თუნდაც საბაზისო ცოდნა და მჭიდროდ ითანამშრომლონ სპეციალური საჭიროებების მქონე პირებთან.

რესპონდენტების რეკომენდაციები:

- მოხდეს ეტაპობრივად შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინება მუნიციპალურ პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში;
- კვლევებზე დაფუძნებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდეს პროგრამულ ბიუჯეტში შშმ პირთა უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- გაიზარდოს საარსებო მინიმუმი შშმ პირებისთვის;
- მოხდეს დანამატების გაცემა დასაქმებულ შშმ პირებსა და მათ მშობლებზე;
- ინფრასტრუქტურის ადაპტირება კონტროლდებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე ამჟამად;
- გაიხსნას დღის ცენტრები მუნიციპალიტეტებში და მერიებმა ამისთვის გამოყონ ბიუჯეტი;
- მოხდეს შშმ პირთა ასისტენტების ინსტიტუტის შექმნა;
- მოხდეს სოციალური სერვისების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება და თითოეულ ოჯახამდე მიტანა;
- შშმ პირები მეტად ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში და მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს საბაზისო ინფრასტრუქტურის მომზადება;
- გაიზარდოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურის წილი შშმ პირებისთვის;
- მოხდეს შშმ პირთა სამეწარმეო უნარების განვითარება და გაიცეს დაფინანსებები მცირე წარმოებების დასაწყებად;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს დამსაქმებელთა წახალისება შშმ პირთა დასაქმებით.
- მოწესრიგდეს საჯარო უწყებებში სტატისტიკური და მოკვლევადი ინფორმაციების შეგროვება;

დანართები

დანართი #1

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ20. 20231433

თარიღი:23/05/2023

„გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 ივლისის № 4651-ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 ივლისის №4651-ს ბრძანების 1-ლი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერი (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) თამაზ შიოშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

გ) დავით ჩიხრაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

დ) გიორგი ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

ე) თინა ბრეგვაძე - შშმ პირთა წარმომადგენელი (საბჭოს წევრი);

ვ) ელგუჯა კასრაძე - შშმ პირთა წარმომადგენელი (საბჭოს წევრი);

ზ) ზვიად ზვიადაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

თ) ნინო ხუციშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე (საბჭოს მდივანი);

ი) ნანა ტერმაკოზაშვილი - გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი (საბჭოს წევრი);

კ) გიორგი შათირიშვილი - ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს" დირექტორი (საბჭოს წევრი);

ლ) თამარ ბუთხუზი - შ.შ.მ. პირთა წარმომადგენელი (საბჭოს წევრი)."

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ს. ჯორბენაძის № 30).

საქართველო, გორი 1400 ფერაძის №5; ს/კ 218086087 info@gori.gov.ge

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
KHASHURI MUNICIPALITY
KHASHURI CITY HALL

წერილის ნომერი: **84-842317898**
თარიღი: **27/06/2023**

ადრესატი: საზოგადოება ბილიკი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 217889300
მისამართი: ქ. გორი, რუსთაველის ქ., N19ა

საზოგადოება ბილიკის ასოციაციის
თავმჯდომარეს ქალბატონ
მარინე მღებრიშვილს

ქალბატონო მარინე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 1 ივნისს გამოგზავნილ N 244 წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ითხოვთ ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭოზე, მასში ჩართული წევრებისა და საბჭოს საქმიანობის შესახებ, გაცნობებთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში საბჭო შეიქმნა 2021 წლის 6 აპრილს, საბჭოს წევრები არიან როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები როგორიცაა ა(ა)იპ კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი „მომავლის სახლი" და ხაშურის N2 საჯარო სკოლაში არსებული დღის მოვლის ცენტრი. ყოველწლიურად ხდება შესაბამისი სამუშაო გეგმების გაწერა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. სამოქმედო გეგმების მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდა.

საბჭოს სხდომებზე ინიცირებული წინადადებები წარედგინება მერს და მერიის კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ხდება მათი გათვალისწინება.

საზოგადოება ბილიკისა და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის ერთობლივ პროექტში მონაწილეობისა და გამოცდილების მიღების შემდეგ, რომელიც ემსახურებოდა „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობასა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაციას საქართველოში" შემუშავდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს კოლეჯ „ქართლში" შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისას უფასო ტრანსპორტირებას. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია შშმ პირთა უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკონტაქტო პირი იქნება - თინათინ კაპანაძე.

პატივისცემით,

საქართველო, ქ. ხაშური 5700 ტაბიძის ქ.N2, 0-368-24-15-02

თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **12-122318719**
თარიღი: **06/07/2023**

ადრესატი: საზოგადოება ბილიკი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 217889300
მისამართი: ქ. გორი, რუსთაველის ქ., N19ა

ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“-ს თავმჯდომარეს

მარინე მღებრიშვილს

|ქალბატონო მარინე,

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი 2023 წლის 11 მაისის N218 წერილის პასუხად,რომელიც ეხება „საზოგადოება ბილიკი“-ს მიერ ახალი პროექტის - „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“ - განხორციელების უზრუნველყოფას, რომლის მიზანია ადგილობრივი მუნიციპალური პოლიტიკის და შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შშმ პირთა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებისთვის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შექმნა, პროექტის განხორციელების სიტუაციური ანალიზისთვის, გაწვდით ჩვენს ხელთარსებულ ინფორმაციას:-

- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წლის 31 აგვისტოს N 1756 07 ბრძანებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შეხვედრის სხდომის ოქმები და სხდომაზე განხილული საკითხები იხილეთ დანართის სახით;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით, შშმ პირთა სამოქმედო გეგმა და სტრატეგია დღეის მდგომარეობით არ აქვს;
- შშმ პირთა დასაქმების წარმატებული მაგალითებია:
- ა(ა)იპ "ახალციხის სერვის ჯგუფი" - დასაქმებულია ერთი შშმ პირი მეეზოვის პოზიციაზე;
- ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება" – დასაქმებულია ერთი დამხმარე მუშაკი;
- ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" – დასაქმებულია ერთი დამხმარე მუშა;
- ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება" - დასაქმებულია ერთი სპეციალისტი ბიბლიოთეკაში.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია სტაჟირების პროგრამას და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს ამ ეტაპზე არ ატარებს, თუმცა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს აქვთ შშმ პირებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება და უნარები.

- შშმ პირთა დასაქმების და მათი სოციალური ინკლუზიის მიმართულებით ბარიერები ამ ეტაპზე ადგილობრივი თვითმმართველობის გადმოსახედიდან არ არსებობს.

აქვე გაწვდით საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაციას - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი ინგა დიაკონოვი; ტელ.: 591 44 96 42; ელ. ფოსტა - idiakonovi@gmail.com

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

რუბენ კარაპეტიან

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოადგილე

დანართი #2

სსიპ "აწარმოე საქართველოში"

მარჯანიშვილის ქ. N5/16-18
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 15 25
info@enterprise.gov.ge

28 / ივნისი / 2023 წ.

KA020121425770323

№ **EG-3.1/515**

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის თავმჯდომარეს,
ქალბატონ მარინე მღებრიშვილს
ელ ფოსტა: contact@biliki.ge

ქალბატონო მარინე

თქვენი, 2023 წლის 2 ივნისის N622 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილს 2022 წელს დაემატა ახალი პრიორიტეტი, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ წარმოდგენილ ბიზნესიდეას მიენიჭება დამატებითი 2 ქულა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2022 წელს სულ შემოვიდა 14823 განაცხადი, აქედან შშმ პირების 375 განაცხადია, საიდანაც დაფინანსდა 24 ბიზნესგეგმა. რაც შეეხება მესამე კითხვას, აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება სცდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში კომპეტენციის ფარგლებს.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ირაკლი გაბრიაძე

დანართი #3

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატი

National Statistics Office of Georgia

GEOSTAT

270-7-2-202302071418

N 7-270 07/02/2023

"საზოგადოება ბილიკი"
ასოციაციის ხელმძღვანელს

ქალბატონ მარინე მღებრიშვილს

ქალბატონო მარინე,

თქვენი მიმდინარე წლის 27 იანვრის N41 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქსტატი არ ფლობს ინფორმაციას შშმ პირთა დასაქმების შესახებ.

პატივისცემით,

პაატა შავიშვილი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე